ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
ოქმი N1

დაბა ქედა 29 იანვარი, 2025 წელი

სხდომა დაიწყო 12:30 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:55 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე -კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი;
შორენა კარანაძე- კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
მუხრან სალაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;
ციური ზაქარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;
ზაზა დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;
ნანა ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

29.01.2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
5	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
6	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
7	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	
8	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. **,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე

2. **,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 28 იანვრს საკრებულოს თავმჯდომარის - ამირან ცინცაძის მიერ წარმოდგენილი იქნა ინიციირება (წერილის ნომერი: 95-95250284; წერილის თარიღი: 28.01.2025) ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებლის თქმით ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში 2024 წლის 13 დეკემბერს განხორციელებული ცვლილები. (დოკუმენტის ნომერი 165-Iმს-XIმპ, ვებგვერდი 29/12/2024, სარეგისტრაციო კოდი 010320000.05.001.102434) საჯარო დაწესებულებაში საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის სამართლებრივი სტატუსი გარდაიქმნა, აქედან გამომდინარე ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილება, რის საფუძველზეც მიზანშეწონილია ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 28 იანვრს საკრებულოს თავმჯდომარის - ამირან ცინცაძის მიერ წარმოდგენილი იქნა ინიციირება (წერილის ნომერი: 95-95250283; წერილის თარიღი: 28.01.2025) ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

მომხსენებლის თქმით ნორმატიული აქტის ძირითადი არსია მდგომარეობს შემდეგში: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2024 წლის 13 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით (დოკუმენტის ნომერი 165-Iმს-XIმპ, ვებგვერდი 29/12/2024, სარეგისტრაციო კოდი 010320000.05.001.102434) საჯარო დაწესებულებაში საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის სამართლებრივი სტატუსი გარდაიქმნა და მიეკუთვნა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა კატეგორიას. შესაბამისად, სამართლებრივი სტატუსის ცვლილებამ განსხვავებულ სამართლებრივ რეგულაციაში მოაქცია საჯარო დაწესებულებაში ყველა პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე. აქედან გამომდინარე წარმოდგენილ ნორმატიული აქტის პროექტით საშტატო ნუსხაში საკრებულოს აპარატის უფროსისა და აპარატის უფროსის მოადგილის სტატუსი გასწორდა და შესაბამისია საკანონმდებლო ცვლილებებთან.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ახალი დადგენილების დანართი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო და საშტატო ნუსხა

	მოხელის თანამდებობათა რანგები	თანამდებობის დასახელება	შტატის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
		საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები		
1	საკრებულოს თავმჯდომარე		1	5986
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე		1	4672
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე		2	4232
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე		5	3358
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე		2	3066
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე		5	2628
		საკრებულოს აპარატი		

1	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	აპარატის უფროსი	1	3358
2	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	აპარატის უფროსის მოადგილე	1	2920
იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება				
3	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	1	2628
4	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	2190
საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილება				
5	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	1	2628
6	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1	2190
7		პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	1	2190
საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება				
8	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	1	2628
9	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში	4	2190
10		პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	2190

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:55 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **ვაჟა აბულაძე**

ოქმი შეადგინა:

საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში **ნანა ბერიძე**